საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004030

„02" სექტემბერი 2024წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
დეპარტამენტი; მის: ქ. თბილისი ვ. [illegible] [illegible] №1.

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ჯორჯიან სტეიტ დივს" (ს/ნ 405347174)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №20; დირექტორი [redacted]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
[redacted] მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს №2-820
ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004030
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №004030 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2.

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 4 გვერდი.

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^{8} მუხლის [illegible] [illegible] ნაწილი [illegible].

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მთავარი სპეციალისტი ინსპექტორი ნინო [illegible]

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 2 სექტემბრის №004030 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე 2023 წლის 6 ივნისს შემოსული, №DES22300041895 სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირების მიერ, 2023 წლის 8 ივნისს, განხორციელდა, ქ. კასპში, ე.წ. გამომუშავებული კარიერის ტერიტორიაზე განთავსებული, შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ"-ს (ს/კ 405347174) კუთვნილი ცემენტის საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს №2-820 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2008 წლის 26 ივნისის №27 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა; მინისტრის 2019 წლის 13 სექტემბრის №2-887 ბრძანება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ, მინისტრის 2020 წლის 5 ოქტომბრის №2-889 ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილება, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 11 ნოემბრის № 454/ს ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილება) და დეპარტამენტის 2023 წლის 21 თებერვლის №003158 ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილი ვალდებულებების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. **სააგენტოს უფროსის 2022 წლის 11 ნოემბრის №454/ს ბრძანების მე-3 პუნქტის** შესაბამისად კომპანიამ, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, არ უზრუნველყო განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის" სააგენტოსთან შეთანხმება (2023 წლის 21 თებერვლის №003158 ადმინისტრაციული მიწერილობის პირველი პუნქტი);
2. **სააგენტოს უფროსის 2022 წლის 11 ნოემბრის №454/ს ბრძანების მე-5 პუნქტის** შესაბამისად კომპანიამ არ უზრუნველყო განახლებული მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ყველა წყაროზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), გათვალისწინებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე და უახლოეს მოსახლესთან ატმოსფერული ჰაერის, ასევე ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგი, მონიტორინგის წერტილების კოორდინატებისა და სიხშირის მითითებით (2023 წლის 21 თებერვლის №003158 ადმინისტრაციული მიწერილობის მე-2 პუნქტი);
3. **მინისტრის 2020 წლის 5 ოქტომბრის №2-889 ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის** შესაბამისად, კომპანიამ არ უზრუნველყო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანების შესაბამისად შემუშავებული, ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება (2023 წლის 21 თებერვლის №003158 ადმინისტრაციული მიწერილობის მე-3 პუნქტი).

ასევე, ინსპექტირებისას საწარმოდან 500 მეტრიან რადიუსში ჩატარებული გაზომვების შედეგად დადგინდა, რომ ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკების კონცენტრაციამ ნაცვლად 0,225 მგ/მ^3-ისა (ზდგ), შეადგინა 0,905 მგ/მ^3, რაც 4-ჯერ აღემატება საწარმოსთვის აღნიშნულ წერტილში დადგენილ ნორმას (2022 წლის 11 ოქტომბრის №000119 ადმინისტრაციული მიწერილობა);

ამასთან, ატმოსფერულ ჰაერში ხმაურის დონის განსაზღვრის მიზნით, საწარმოს უახლოეს მოსახლესთან, განხორციელდა გაზომვები. გაზომვის შედეგად ხმაურის მაქსიმალურმა დონემ შეადგინა 63,1 დბ, ხოლო ფონური ხმაურის დონემ შეადგინა 43,5 დბ. შესაბამისად დადგინდა, რომ ცემენტის საწარმოდან ხმაურის დონემ 19,6 დბ-ით გადააჭარბა კანონმდებლობით დადგენილ ნორმას.

ასევე, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის წარმოების მიზნით, ინსტრუმენტული მეთოდით, უწყვეტად განსაზღვროს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობა, რაც არ იყო შესრულებული.

გამოვლენილ დარღვევებზე, 2023 წლის 5 ივლისს, შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ს მიმართ შედგა შემდეგი ოქმები:

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლი პირველი ნაწილისა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №077805 ოქმი;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლი შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №077804 ოქმი;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76^1 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №077806 ოქმი;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 84-ე მუხლის 3^1 ნაწილის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №077807 ოქმი;

ოქმები, თანდართული მასალებით განსახილველად გადაეგზავნა კასპის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2023 წლის 2 ოქტომბრის №4/192-2023 დადგენილებით, ოქმები გააერთიანა ერთ წარმოებად და კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით, მეორე ნაწილის ა) ქვეპუნქტით, 84-ე მუხლის 3^1 ნაწილით და 76^1 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში, ამავე დადგენილებით შეწყდა საქართველოს

2024 წლის 2 სექტემბრის №004030 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლი შენიშვნის პირველი ნაწილით დაწყებული საქმის წარმოება და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 10 000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება დეპარტამენტის მიერ გასაჩივრდა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ 2024 წლის 7 თებერვლის №4/ა-01-24 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა დეპარტამენტის საჩივარი და უცვლელად დარჩა 2023 წლის 2 ოქტომბრის №4/192-2023 დადგენილება. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ"-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 2 სექტემბრის № 004030 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2024 წლის 2 სექტემბრის №004030 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2.

შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ს (ს/კ 405347174) კუთვნილი ცემენტის საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს №2-820 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2008 წლის 26 ივნისის №27 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა; მინისტრის 2019 წლის 13 სექტემბრის №2-887 ბრძანება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ; მინისტრის 2020 წლის 5 ოქტომბრის №2-889 ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილება; სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 11 ნოემბრის № 454/ს ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილება) და დეპარტამენტის 2023 წლის 21 თებერვლის №003158 ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილი ვალდებულებების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“ ვალდებულია:

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და ექსპლუატაციის ეტაპზე მუდმივად უზრუნველყოს** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან 2024 წლის 5 თებერვალს შეთანხმებული (სააგენტოს 2024 წლის 6 თებერვლის №21/993 წერილი) „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით'' განსაზღვრული გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, **საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, მუდმივად უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი ხმაურის ნორმების დაცვა;**
3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და მუდმივად უზრუნველყოს** ნარჩენების მართვა ნარჩენების მართვის კოდექსის, მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და სამინისტროს 2023 წლის 6 დეკემბრის №9752/01 წერილით, 2024-2025 წლებისთვის შეთანხმებული, კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად (2024-2025 წ);